სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
76325110530826

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება
იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N261583890

რეგისტრაციის თარიღი
09.11.2026 წ

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
ტელეფონი: 593-32-67-97

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაექვსი წლის ცხრა ნოემბერს მე, ნოტარიუსს ნანი სიდამონიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. #27-ში, მომმართა ლაშა კანდელაკიშვილმა შპს " ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტის "ს (ს/კ 400199469 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო / არაკომერციული/ იურიდიული პირების რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 13/11/2023წ , იურიდიული მისამართი : თბილისი, გლდანის რ-ნი , სარაჯიშვილის ქ # 17) დირექტორმა , მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა საზოგადოების სახელით და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ლაშა კანდელაკიშვილმა (დაბ.02.06.1984წ. პ # 40001006991, მისამართი : თბილისი ს. დიღომი ხატაეთის ქ. N 20ა) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ:

1. მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.

მან წაიკითხა სანოტარო აქტი, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაექვსი წლის ცხრა ნოემბერს მე, ლაშა კანდელაკიშვილი შპს " ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი "ს (ს/კ 400199469) დირექტორი ამ მინდობილობით სრულ უფლებას ვაძლევ ავთანდილ ღოღობერიძეს (პ #01024001976) შპს " ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი "ს (ს/კ 400199469) კუთვნილ უძრავ ქონებასთან (ს/კ 01.11.04.026.167) დაკავშირებით იყოს შპს " ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი "ს (ს/კ 400199469 წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის საჯარო რეესტრში, ქ. თბილისის მერიის სამსახურებში (არქიტექტურის სამსახურში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში და ზედამხედველობის სამსახურში), გამგეობაში, საკრებულოში, არქივებში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, მიიღოს და წარადგინოს დოკუმენტები, ნებართვები, შეათანხმოს პროექტები, დააზუსტოს ფართობი, შეიტანოს ცვლილებები, კორექტირებები პროექტში, განახორციელოს დემონტაჟი, აწარმოოს სამშენებლო საქმიანობა. გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, აწარმოოს შესაბამისი საქმე, შეასრულოს ელექტრონულად ხელისმოწერა ნებისმიერ განაცხადზე, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის პროცედურა, რაც დაკავშირებულია აღნიშნული მოქმედებების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია 09/01/2027 წლის ჩათვლით.

მინდობილობას ვადასტურებ მე, ნოტარიუსი ნანი სიდამონიძე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემა მინდობილობის გამცემს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური : 30 ლარი, აგრეთვე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე დღგ 5,40 ლარი, სულ 40,40 ლარი .

ნოტარიუსი